ცნობის ფურცელი

№ 2088 ხუთშაბათი, 6 მარტი 1896—1903 ყოველ-დღიური გამოცემა № 2088

გაზეთი ღირს: წლიწადში—6 მან., ცალკე ნომერი—3 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე"-„ცნობის ფურც." რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-დე საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 372.

ამ №-თან ხელის-მომწერთ ეგზავნებათ „სურათებიანი დამატების" მე-97 №-რი

იოსებ ნიკოლოზის ძე და სოფიო ნიკოლოზის ასული თაყიაშვილნი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას დაუვიწყარის შვილის

ბარბარე იოსების ასულის

ბითაშვილის ქვრივისას.

ცხედარს გამოასვენებენ პარასკევს, 7 მარტს, დილის 9½ საათზე, საკუთარის სახლიდან, კვირაცხოვლის ქუჩა, № 21 კუკიის წმიდა ნინოს სასაფლაოზე. პანაშვიდები საღამოს 7 საათზე. (1—1)

შაბათს, 8 მარტს, უგანათლებულესის სამეგრელოს თავადის

ნიკოლოზ დავითის ძის

ორმოცზე მარტვილის მონასტერში გარდახდილ იქმნება წირვა და პანაშვიდი. (2—1)

სეტყვის ამაცდენელი ზარბაზანი (მორტირა)

კელენის სისტემისა

„იდეალ"

სახალხთაშორისო კონგრესზე ლიონში **უმაღლესი საჩუქარი** მიუღია. მკვიდრად გაკეთებულია და ხმარებაც **სულ უშიშრად** შეიძლება. სრულიად რუსეთისათვის ერთად-ერთი წარმომადგენელია **პეტრე ქიფიანი** ტფილისში, ოლგინსკი ქუჩა, სახლი მაკაროვისა. **ტელეფონი** 150. ზარბაზნების საწყობი სარაჯევის სახლშია წყნეთის ქუჩაზე. (0—10)

ტფილისის კერძო სამკურნალო

ზედგენიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,

ე ქ ი მ ნ ი:

ბ. ი. ჯინიბაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

ნ. ტ. გულინი. ყურის, ყელის და ცხვირის 9—10.

ბ. დ. ლამბაშიძე—შინაგანი: ორშაბათობით, ოთხშაბ. და შაბათობით 10—11 ს.-მდე.

ბ. ზ. მადლაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით.

ი. გ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათამდე.

ლ. ი. კაცოვი.—საშარდე (ხირურგიული) ავადმყოფ.: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11-მდის.

ბ. მუსხელოვი:—თვალის ავადმყოფობა—ორშ. ოთხშ. და შაბათ 11½—12½.

ლ. ა. ზედგენიშვილი, შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

მ. ზ. მანსვეტოვი. შინაგანი, ნერვების და ბავშვების: კვირაობით 10—12.

ნ. ზ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდეს 1—2 საათამდე.

ზრ. მ. სობოლევსკი—ხირურგია და ორთოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით 1—2 საათ.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ა. ზ. მადლაშვილი—შინაგანი, ბავშვების და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა.).

მუდმივი ექიმი **ზ. დ. ნასარიძე.**

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრაოტები—სამ მანათიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, №-21. (ავჭალის ქუჩის დასაწყისში). **ტელეფონი № 274** (წ.

კ ბ ი ლ ი ს ე ქ ი მ ი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და **11**—2-მდის, ბოლოს საღამოობით 5—7-დის. კვირა-უქმე-დღეებში 9—2-დის და საღამოთი 5—7-დის.

ელისაბედის ქუჩა, 38. (წლ.

კონცერტი

ქართულ გალობის მოყვარულთა გუნდისა პოლ. პეტრ.

ფალიაშვილის

ლოტბარობით,

რომელიც დანიშნული იყო 7 მარტს არტისტიულ საზოგადოების დარბაზში, გადატანილ იქმნება 22 მარტს. ბილეთები, აღებული 7 მარტისთვის, გამოდგება აგრეთვე 22 მარტისათვის. (2—1)

წარმოდგენა 40. ტელეფონი 617

◆ **იაფ ფასიანი წარმოდგენა** ◆

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 6 მარტს, 1903 წ.

✡ **დაკლებულის ფასებით** ✡

ქართულ დრამატიულ დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

მტარვალი

დრამა 5 მოქ. ი. ლაზარიაშვილისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: გაბუნია-ცაგარლისა, ალ. კარგარეთელი, ოლ. ლეჟავა, რიონელი და გალუსტოვისა. ბ ბ. გ. გედევანოვი, ვ. გუნია, ი. ავალიძე, ს. სვიმონიძე, კ. შათირიშვილი, რომანიშვილი და სხვა.

ადგილების ფასები: ლოჟები 4 მან. 8 მანეთამდე, პარტერი 50 კ დან 2.-მ-მდე, ამფითეატრი 60 კ დან 1 მ.-მდე, გალერეა 20 კ-დან 35 კ მდე. შეგირდებისთვის ადგილები 40 კაპ.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

მზადდება წარმოსადგენად „მურად-ფაშა", „ოტელო", „ქეთევან წამებული", „მედეია".

რეჟისორი **ვ. გუნია.**

ე ქ ი მ ი

ვ. ლამბაშიძე

იღებს შინაგან და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა, № 22, ლილი ვანქის ქუჩის კუთხესთან. **ტელეფონი 642**

საკონდიტერო

„MARIE"

ქართველ ქალთა ამხანაგობის მიერ გაიხსნა 28 იანვარს სერგიევის ქუჩაზე, მირზოევის სახლში (სოლოლაკში). მასთანვე არის მშვენივრად მოწყობილი „Cafe". (10—10)

საზღვარ-გარედ

ინგლისი. არმინიუს ვამბერი, ცნობილი უნგრელი გეოგრაფი, რომელიც ზედ-მიწევნით იცნობს საშუალო აზიას და რუსეთის პოლიტიკას, ერთ ინგლისურ ჟურნალში („მეცხრამეტე საუკუნე") სწერს სხვათა შორის: „დიდ-ბრიტანიის დიდება ბევრსა შურს, განსაკუთრებით სამ სახელმწიფოს—რუსეთს, საფრანგეთსა და გერმანიას. რუსეთის მიზანია ინდოეთის ხელში ჩაგდება, საფრანგეთს თვალი უჭირავს სიამზე, გერმანია ცდილობს ხელში ჩაიგდოს მცირე აზიის მთელი ბაზარი. ყველაზე საშიში მტერი რუსეთია, რადგან იგი ახლოა ბრიტანიის სამფლობელოების საზღვარზე. მიუხედავათ იმისა, რომ რუსეთის სახელმწიფო მოღვაწეები სულ მშვიდობიანობაზე ლაპარაკობენ, ინდოეთში შესევა გადაწყვეტილი საქმეა. მაგრამ რადგან პირდაპირ შესევა შეუძლებელია, რუსეთის მთავრობა სხვა გზით ცდილობს საქმეს შემოუაროს: დასავლეთით—სპარსეთის საშუალებით და აღმოსავლეთით—პამირის საშუალებით. ინგლისში ადრე მიხვდნენ რუსეთის პოლიტიკას და თავის მხრივ სამზადისს შეუდგნენ: ინდოეთის ჩრდილოეთით მდებარე ადგილები დაიკავეს, შემოიერთეს ბელუჯისტანი, რა-კი რუსეთმა შუა აზიის სახანოები დაიპყრო და რკინის გზის გაყვანას შეუდგა და ავღანისტანთან უფრო მჭიდრო დამოკიდებულება შექნა—გარეშე პოლიტიკა ავღანისტანისა ინგლისის კონტროლის ქვეშაა და აქამდე ვერც ერთი რუსი ვერ გაბედავს ამ სახელმწიფოს ტერიტორიაზე შესვლას. მაგრამ რუსეთი უფრო საშიშია ინგლისისათვის სპარსეთის ყურეს მხრიდან. რადგან ინგლისს ერთობ გაუჭირდება ხმელეთზე ბრძოლა გაუწიოს რუსეთის ჯარს, ამიტომ საჭიროა, რომ ინგლისი კავშირით შეეკრას გერმანიას. მართალია, ასეთ კავშირისათვის მცირე აზია გერმანელების ლუკმა უნდა გახდეს, მაგრამ ინდოეთი ღირს იმად, რომ მას მცირე აზიის ვაჭრობა უმსხვერპლონ".

გერმანიისა და ინგლისის კავშირი რუსეთის წინაამდეგ საჭიროდ მიაჩნია ამერიკელ კაპიტანს მაგანსაც, რომელსაც დიდი ავტორიტეტი აქვს საზღვაო სტრატეგიის კითხვებში.

ბაღდადის რკინის გზის გაყვანა იმიტომ შეიქმნა სამწუხარო და სავალალო მოვლენად რუსულ პატრიოტულ პრესისათვის, რომ ეს გზა აახლოვებს იმ დროს, როცა ინგლისი და გერმანია შეერთებულის ძალით გადაეღობებიან რუსეთის გავლენის გავრცელებას მცირე აზიასა და სპარსეთში.

ფრიად საყურადღებოა, რომ საფრანგეთიც დიდ მატერიალურ მონაწილეობას იღებს ხსენებულ გზის გაყვანაში და ამ გვარად ეს „გულითადი" მოკავშირეც ფაქტიურად წინ ეღობება რუსეთის ინტერესებს. ამიტომაც იყო, რომ რუსეთის პატრიოტულმა პრესამ მთელი ლაშქრობა გამართა საფრანგეთის გარეშე საქმეთა მინისტრის დელკასეს წინაამდეგ: რატომ თავის ქვეყნის ინტერესი არ ამსხვერპლა რუსეთის დიპლომატიის განზრახვებსო.

ჩეხია. დიდის ამბით დაუსაფლავებიათ ჩეხებს თავის სახელოვანი მამულიშვილი რიგერი. დასაფლავებას ასი ათასზე მეტი ხალხი დასწრებია; ყოველ წრეს თავისი წარმომადგენელი გამოეგზავნა; ყოფილან სხვა სლავიან ერების წარმომადგენელნიც. ჩეხიის პოლიტიკური პარტიები, რომელნიც ჩვეულებრივ გაცხარებით ებრძვიან ერთმანეთს, რიგერის დასაფლავების დღეს ძმურად შეერთებულიყვნენ, რომ უკანასკნელი პატივი ეცათ დიდად დამსახურებულ მამულიშვილისათვის. ჩეხელი ეხლა იმდენად კულტუროსანი და განათლებულია, რომ იცის მოპირდაპირის პატივისცემა: ბრძოლა, კამათი არ ავიწყებს მას მოპირდაპირის პატიოსნებას და ღვაწლს.

ზოგი გერმანელიც დასწრებია რიგერის დასაფლავებას და არც გასაკვირველია: რიგერი ჩეხიის პატრიოტი მოღვაწე იყო, მაგრამ ამასთანავე, როგორც ნამდვილი ნაციონალისტი, სხვა ერების უფლებათა პატივისმცემელიც იყო. თავის ანდერძში რიგერს, სხვათა შორის, უთქვამს: იბრძოლეთ ეროვნულ თავისუფლებისა და ღირსებისათვის, მაგრამ ბრძოლა იმდენად ნუ დაგაბრმავებთ, რომ სხვა ერის პიროვნებას და უფლებას პატივის ცემით არ მოეპყრათო.

1888-ში, როცა ჩეხები რიგერის იუბილეს დღესასწაულობდნენ, სხვათა შორის დამსახურებულ მოღვაწეს ფულიც შეუგროვეს: მთელი ეს ფული თავის სარგებლით (ორას ათაზე მეტია თურმე) რიგერმა დასტოვა ჩეხელ მწერალთა და მეცნიერების დასახმარებლად.

პირნათლად ემსახურა რიგერი თავის აღმზრდელ ერს და პირნათლადვე გამოეთხოვა ამ წუთის სოფელს.

საფრანგეთი. საფრანგეთში, როგორც ვიცით, ისევ დაიწყეს დრეიფუსის საქმეზე ლაპარაკი. თანდათან უფრო ცხადი ხდება, რომ რენის პროცესის დროსაც სიყალბე იყო ჩადენილი და უბადრუკი დრეიფუსი, სრულებით უდანაშაულო, მეორედ გაამტყუნეს ზოგიერთ ბობოლაების მანქანებით. ცნობილ დეპუტატს ჟორესს განზრახვა ჰქონდა ისევ აღეძრა ეს გაუთავებელი კითხვა პარლამენტში, რადგან, როგორც გაზეთები სწერდნენ, ახალი საბუთები აღმოჩნდა ხსენებულ ბობოლაების სიყალბისა რენის პროცესის დროს. მაგრამ ეხლა სულ სხვას გვატყობინებენ გაზეთები; ჟორესს აღარ სურს გამოამჟღავნოს ის ხრიკები, რომლის საშუალებითაც დრეიფუსი უსაბუთოდ მეორედ გამოიყვანეს დამნაშავედ; მეგობრებმა დაარწმუნეს ჟორესი, რომ უკეთესი იქნება თუ ამ საქმეში პოლიტიკა არ იქნება გარეული—დრეიფუსმა თვითვე მიჰმართოს სასამართლოს და გააბათილოს რენის სასამართლოს დადგენილება იმ ახალ ფაქტების საშუალებით, რომელნიც შემდეგ აღმოჩნდნენო.

სასამართლო ნებსით თუ უნებლიეთ ყოველ ქვეყანაში შესცდება, მაგრამ ყოველგან როდი შეიძლება უსამართლოდ დაჩაგრულის ისეთი გამოქომაგება, როგორსაც საფრანგეთში ვხედავთ; არა თუ გამოქომაგება, ხშირად კრინტის დაძვრაც-კი შეუძლებელია.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ

◆ კვირას, 9 მარტს, კრება ექმნებათ ტფილისის გუბერნიისა და მაზრის თავადაზნაურთა წინამძღოლებს, დეპუტატებსა და თავად-აზნაურთ. კრებამ უნდა მოილაპარაკოს კახეთის რკინის გზის მიმართულების შესახებ. კრება მოხდება სათავად-აზნაურო ბანკის სადგომში, დილის 11 საათზე.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობას შეუმუშავებია შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ ტფილისი განთავისუფლებულ იქმნას პოლიციის შესანახ ხარჯებისაგან.

◆ აზრადა აქვთ ტფილისის გიმნაზიებში 10 სტიპენდია დააწესონ დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის სახელობისა. სასწავლებელთა გამგე კომისიას ამის შესახებ უკვე წარუდგენია მოხსენება ქალაქის გამგეობისათვის.

◆ შაბათს, 8 თებერვალს, მოხდება „კავკასიის სტუდენტთა დამხმარებელ საზოგადოების" წლიური კრება. კრებამ უნდა განიხილოს ანგარიშები გამგეობისა და სარევიზიო კომისიისა და მოახდინოს არჩევანები: გამგეობის სამის წევრისა ს. ა. ანანოვის, მ. ლ. ელჩუკოვის და ე. ს. თაყაიშვილის ნაცვლად, რომელთაც ვადა უთავდებათ, და სარევიზიო კომისიის წევრებისა. კრება მოხდება საარტისტო საზოგადოების დარბაზში, საღამოს 8 საათზე.

◆ პეტერბურგიდან გვატყობინებენ, რომ ტფილისის ებრაელთა დეპუტაციას თავისი მინდობილობა უკვე აღუსრულებია და ტფილისში ბრუნდება. ის ებრაელები, რომელნიც, ადმინისტრაციის ბრძანებით, ტფილისიდან უნდა გადასახლებულიყვნენ, დატოვებულ იქმნენ ტფილისში სექტემბრამდე; მანამდის ეს საკითხი საბოლოოდ არ გადაწყდება.

◆ ბაქოში სასამართლოს ეხლა ხან გაურჩევია საყურადღებო საქმე. იგი შეეხებოდა ბალახან-საბუნჩის პოლიციისა და რკინის გზის მოსამსახურეთა შეტაკებას. ამ საქმის გამოსაძიებლად მთავარ-მართებელს ბაქოში საგანგებო საქმეთა მოხელე გაუგზავნია. 20 მოსამსახურეს ბრალი ედებოდა, რომ იმათ არ შეასრულეს პოლიციის მოთხოვნილება. მომრიგებელ მოსამართლეს ყველანი გაუმართლებია.

◆ „პეტერბ. ვედომ."-ის № 56-ში (27 თებერვლისაში) დაბეჭდილია საინტერესო და საყურადღებო წერილი ბ. ვარიანელისა „საკითხი სამეგრელოს პირველ-დაწყებით სკოლის შესახებ".

◆ დღეისთვის ტფილისის სამხედრო საბჭოს დარბაზში, სასახლის ქუჩაზე, საღამოს 8 საათზედ, დანიშნულია კრება რუსეთის საგეოგრაფო საზოგადოების კავკასიის განყოფილებისა. კრებამ, სხვათა შორის, უნდა განიხილოს მოხსენება სამთო ინჟენერის მ. ა. შოსტაკისა სვანეთისა და რაჭის შესახებ.

◆ დღეს, ნაშუადღევს, 1-ლ საათზე, კავკასიის მთავარმართებლის საბჭოს დარბაზში დანიშნულია კავკასიის სასტატისტიკო კომიტეტის სხდომა, რომელზედაც განხილულ იქნება ახლახან მოხდენილი ქალაქის სტატისტიკური აღწერა. სხდომაზე მიწვეულია ტფ. ქალაქის გამგეობის წარმომადგენელიც, რადგან განზრახულია შემდეგში ასეთი აღწერილობა ტფილისშიაც მოახდინონ.

◆ ტფილისის მაზრის თავად აზნაურთა კრება, როგორც გავიგეთ, მოხდება 15 მარტს.

◆ მიწათ-მოქმედების დეპარტამენტმა მოსწერა კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების საბჭოს შეატყობინოს რა ფული შეიკრიბა საზოგადოების ყოფილ პრეზიდენტის ხატისოვის სახელობაზე საბაღოსნო სკოლაში განზრახულ სტიპენდიების დასაარსებლად.

◆ ჩვენ გვიამბეს შემდეგი: გორის მაზრის სოფელ ავლევში რამდენიმე ხანია თურმე ხუნაგი მძვინვარებს. საექიმო ნაწილის მმართველობას იქ გაუგზავნია ჯერ ექ. ბრომძელი, შემდეგ ფერშალი კლეპანოვი საჭირო წამლებითა და სადეზინფექციო მასალით. ფერშალს რამდენსამე სახლში, სადაც ხუნაგისაგან კიდეც გადაცვლილან, დეზინფექცია მოუხდენია. ხალხს ეს უკანასკნელი ღონისძიება არ მოსწონებია და ფერშალი აღარსად შეუშვიათ. ბოლოს ფერშალი იძულებული ყოფილა ტფილისში დაბრუნებულიყო.

◆ სურების (ოზურგეთის მაზრა) და ჰაგანის (ქუთაისის მაზრა) გასესხებელ შემნახველ ამხანაგობის გამგეობამ მიმართა კავკასიის საბრეშუმო სადგურს და სთხოვა შეღავათით დაგვითმეთ აბრეშუმის საღი თესლიო. როგორც გავიგეთ, სადგურმა ხსენებულ ამხანაგობათა თხოვნა დააკმაყოფილა და მისხალი თესლი 40 კაპ. დაუთმო.

◆ შარშან ამიერ-კავკასიის რკინის გზას შემოსვლია სულ 28,334,265 მანეთი, წინა წელზე 417,400 მანეთით მეტი. ხარჯი ყოფილა 15,166,310 მანეთი, ასე რომ დარჩენია გზას—13,187,955 მანეთი.

◆ როგორც გამგეობის მიერ ტფ. გუბერნატორისათვის წარდგენილ ცნობებიდან სჩანს, ტფილისს ჭმართებს სამის სესხით 2.906.590 მანეთი; პირველ სესხის გადახდა იწყება 1904 წ., უკანასკნელი ნაწილი გადახდილ უნდა იქმნას 1931 წელს.

◆ 9 მარტისთვის კავკასიის საბრეშუმო სადგურის სადგომში დანიშნულია საბაღოსნო საზოგადოების კრება, რომელზედაც, მიმდინარე საქმეების გარდა, განხილული იქნება საკითხი გაგრაში გამოფენის გამართვის შესახებ.

◆ ტფილისის საგუბერნიო სამკურნალო გამგეობამ ნება დართო პროვიზორს ი. ლულაძეს გორის მაზრის სოფელ ბაკურიანში აფთიაქი გახსნას.

◆ მთავარ-მართებელთან მყოფი ტეხნიკოსი, ხუროთ-მოძღვარი სიმონსონი და ტფილისის საგუბერნიო ხუროთ მოძღვარი ტრონოვი, „კავკ"-ის სიტყვით, თანამდებობას თავს ანებებენ.

◆ უგანათლებულესს კნეინას ე. ვ. გრუზინსკისას განუზრახავს პეტერბურგში წმ. ნინოს სახელობაზე ეკკლესიის აგება. კნეინას უკვე მიუღია ლოცვა-კურთხევა მიტროპოლიტისგან და შეუდგომია ფულის შეკრებას. შიდა რუსეთში ეს პირველი ეკკლესია იქმნება წმ. ნინოს სახელობაზე.

◆ დონის ნახიჩევნის სომხთა სემინარიის მდივანს ი. ბოგდანოვს შუამდგომლობა აღუძრავს ნება დაერთოს ამ ქალაქში გამოსცეს ყოველ დღიური გაზეთი სომხურ ენაზე.

◆ თებერვლის განმავლობაში საქალაქო ხორცის დუქნების შემოსავალი ყოფილა 31,000 მანეთი.

◆ ამ რამდენისამე დღის წინად, როგორც „ნოვ. ობოზრ."-ს ატყობინებენ, ვიღაც შეიარაღებული კაცები თავს დასცემიან ოზურგეთის საქალაქო სასწავლებლის მასწავლებელს ჭყონიას. წაუღიათ 400 მანეთი ფულად და ძვირფასი ნივთები. პოლიციას სამი ბოროტ-მოქმედი უკვე შეუპყრია.

3 მარტს, ღამე, კიდევ დასცემიან თავ. ერმილე ნაკაშიძის სამოსახლოს, რომელიც ოზურგეთიდან 2 ვერსის მანძილზე მდებარეობს. წაუღიათ ყველაფერი, რაც-კი ფასიანი უნახავთ.

◆ 5 მარტს ტფილისის ოლქის სასამართლოში გაარჩია საქმე მოქალაქეთა ხარჯის ამკრებელ მამასახლისის ხოსროევისა, რომელსაც ჟილიაევი უჩიოდა, შეურაცხება მომაყენა, რადგან ქრთამი დამიძახაო. მომრიგებელმა მოსამართლემ ეს საქმე მოსპო, რადგან ჟილიაევი არ გამოცხადდა. ამ უკანასკნელმა საჩივარი განაახლა ოლქის სასამართლოში, რომელსაც სთხოვა, ეს საქმე გამომძიებლისათვის გადაეცა, რადგან ხოსროევმა შეურაცხება მომაყენა როგორც თანამდებობის კაცს სამსახურის აღსრულების დროსაო. ხოსროევმა სთქვა, წინააღმდეგი არა ვარ საქმე გამომძიებელს გადაეცეს, რადგან ყველგან შემიძლიან დავამტკიცოო, რომ ჟილიაევი მოქალაქეთა გამგეობაში სამსახურის დროს ქრთამებს იღებდაო. სასამართლომ უსაფუძვლოდ იცნო ჟილიაევის საჩივარი და მოსპო დავა სრულიად.

◆ გუშინ დაიწყო მოქმედება ქალაქის ბორანმა მუხრანის ქუჩის ბოლოდან.

◆ ავლაბარში უხსოვარ დროიდან ქალაქის თვითმმართველობას აქვს მოზრდილი ადგილი, ზომით 20,000 საჟენი. ტფილისის მცხოვრებნი ქანანოვი და კარარი ამ ადგილს ედავებიან ქალაქს. ეს საქმე ოლქის სასამართლოში განსახილველად დანიშნულია 7 მარტისათვის.

◆ გუშინ-წინ ვსწერდით, რომ ვიღაც ბოროტ-განმზრახველთ პოლიციის მეორე ნაწილში ერთს ტფილისის მოქალაქეს მოჰპარეს ხალიჩები და სხვა ნივთებიო. ქურდები დააპატიმრეს. ესენი აღმოჩნდნენ ტფილისის მოქალაქენი მიხეილ ოჰანეზოვი და კონსტ. ყაველოვი.

◆ თებერვლის განმავლობაში ტფილისში შემდეგი ბოროტ-მოქმედებანი მომხდარა: 20-ჯერ ქურდობა, კაცის დაჭრა—5, თავის მოკვლა—1, უეცრად გადაცვალება 1, გაძარცვა—2, ყალბი ფულის გამოჭრა—1, ცეცხლის გაჩენა—9, მოწამვლა—2 და სხვ.

◆ 4 მარტს, საღამოს, ვიღაც 4 კაცი თავს დასცემია ფეოდოსეევსკი ქუჩაზე მიმავალს გამგეობის მოხელეს ლევანდოვს და დაუჭრიათ იგი დანით. მიზეზი, როგორც ჰფიქრობენ, შურისძიება უნდა იყოს, რადგან ლევანდოვი მკაცრი აღმასრულებელი იყო თურმე სასამართლოს დადგენილებათა გამგეობის საქმეებისა გამო.

ქუთაისის ახალი ამბები

◆ როგორც გავიგეთ, ვ. ა. სტაროსელსკი ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა მომავალ კრებისათვის ამზადებს თურმე მოხსენებას ქუთაისის გუბერნიაში საერობო დაწესებულებათა შემოღების შესახებ.

◆ ქუთაისის სამეურნეო ამხანაგობას „კოლხიდას" შეუძენია 10,000 მისხალი შემოწმებული აბრეშუმის თესლი სოფლებში დასარიგებლად. ამხანაგობას აზრადა აქვს გამოსცეს მოკლე დარიგებაც აბრეშუმის ჭიის რიგიან მოვლის შესახებ.

◆ ქუთაისის გუბერნიის სახელმწიფო ქონებათა გამგემ მიიღო განცხადება ოზურგეთის მაზრის ტყის უფროსის ბ-ნ ხაინტსკისა. ხაინტსკი თხოულობს ნება მიეცეს დააკმაყოფილოს თხოვნა ოზურგეთის მაზრის მცხოვრებთა, რომელთაც იჯარით ჰსურთ აიღონ სახელმწიფო მიწები. როგორც გავიგეთ, თხოვნა დაუკმაყოფილებიათ.

◆ ქუთაისის ბაღების თვალ-ყურის ჭერა ქალაქის გამგეობამ მიანდო აგრონომს გ. გ. ჯაფარიძეს.

რუსეთის ქრონიკა

◆ ფინანსთა სამინისტროს შეუმუშავებია ახალი წესები მკურნალობის საქმის მოსაწყობად სამრეწველო დაწესებულებაში. წესების ძალით, კერძო სამრეწველო დაწესებულებებში ამ დაწესებულების პატრონებმა უზრუნველ უნდა ჰყონ მუშათა მკურნალობა. იმ მუშას, რომელსაც ავადმყოფობის გამო მუშაობა აღარ შეუძლიან და, საზოგადოდ, მკურნალობა ესაჭიროება, უფლება აქვს ისარგებლოს მკურნალობით სამის თვის განმავლობაში, ზოგიერთ საპატიო შემთხვევებში-კი ექვსის თვის განმავლობაში; შეუძლიან ამ შემთხვევაში ისარგებლოს პირობის დარღვევის შემდეგაც-კი. დაწესებულების პატრონმა უნდა საკუთრად ან სხვებთან ერთად საავადმყოფო გამართოს ან სხვა საავადმყოფოებს (მაგალითად ქალაქისას და ერობისას) მოურიგდეს. საავადმყოფოს გამართვა იმ შემთხვევაში არ არის მხოლოდ სავალდებულო, თუ დაწესებულებაში 200 მუშაზე ნაკლებია და თუ მახლობლად სხვა სამრეწველო დაწესებულება არ მოიპოვება.

◆ 25 თებერვალს დაიწყო მოქმედება სამხრეთ რუსეთში დაარსებულმა საზოგადოებამ, რომელსაც აზრად ტუბერკულეზთან ბრძოლა აქვს. საზოგადოება ჰმართავს ყირიმში სანატორიას. ამავე საზოგადოებას აზრადა აქვს კავკასიაშიაც გამართოს სანატორია.

◆ „ასტრ. ვედ."-ში დაბეჭდილია მოწმობა, რომელიც მიეცა მაზრის უფროსს ერთის ქალისთვის. აი, შინაარსი ამ მოწმობისა: „მიეცა მოწმობა ეს, ცარიცინის მოქალაქის ცოლს ლუკერია ფარსიუკოვის, რომ იგი ერთ წელიწადზე მეტს ამ ქალაქში სცხოვრობს, აქვს საროსკიპო სახლი; დღემდე არავითარს საეჭვო საქმეში შენიშნული არ ყოფილა, არ ეკუთვნოდა არავითარ საიდუმლო საზოგადოებას, სამართალში არ ყოფილა მიცემული, პირიქით, იგი კეთილის და კარგის ყოფა-ქცევისაა (?), რასაც ვამოწმებ და ბეჭედს ვასმამ"..

თეატრი

კიევი (ქართული საღამო). 4 თებერვალს კიევის უნივერსიტეტის ქართველმა სტუდენტობამ, საიმპერატორო თეატრის არტისტის მ. ფ. ბაგროვის გამგეობით, გამართა ქართული საღამო. ასეთი საღამო კიევში მეოთხედ იმართება. საღამოების მართვას კიევის სტუდენტობა უფრო სხვა თვალით უცქერის, ვიდრე სხვა უნივერსიტეტების ქართველობა. რუს საზოგადოებას ძლიერ მცირე წარმოდგენა აქვს ქართველებზე. გარდა მატერიალურ მხარისა, ჩვენს საგანს შეადგენს, გავაცნოთ ჩვენი არსებობაც. საგანი დიდია, საშუალება მცირე. ამ საშუალების ყოველთვის სავსებით შესრულებაც რომ შეგვეძლოს, ესეც კარგი იქნებოდა. გარეგნობით საღამოს მუდამ თითქმის ქართული ელ-ფერი აძევს. გამგენი ეროვნულ ტანისამოსში არიან გამოწყობილნი, ქართველური სტუმართ-მოყვარეობა და თავაზიანობა მუდამ თან გვდევს, სადაც უნდა ვიყვნეთ; დარბაზსაც, რასაკვირველია, ჩვენის ხელ-მოკლეობის დაგვარად, ქართულ გემოვნებაზე ვაწყობთ. დღევანდლამდის მხოლოდ ერთი რამ ვერ მოგვიხერხებია. ჩვენ საუკეთესო მწერალთა და ისტორიულ პირთა სურათები არა გვაქვს და გვონებ ტფილისშიაც ვერ

ფელეტონი

შიმშილმა მოარჯულა

(სახალხო ზღაპარი)

ბატონ-ყმობა რომ მოისპო, ქვეყანა გამოიცვალა ძირიან-ფესვიანად. ბატონების მძიმე უღლიდან თავ-დაღწეულმა გლეხობამ ქონების ფიტი მოიკრა ნელ ნელა და ბევრი მათგანი გამდიდრდა კიდეც ხერხიან მოქმედებით და დღე და ღამ დაუცხრომელ გარჯილობით. მაგრამ თავად-აზნაურობას კი უკუღმა დაუტრიალდა მაშინ ბედის ჩარხი: ისინი გარჯა შრომას უკადრისობდნენ წინანდებურად, როცა ყველაფერი ყმების ხელით უკეთდებოდათ მზა-მზარეულად და, აბა, რაღა თქმა უნდა, რომ გამრჯელ ყმების ხელიდან გამოცლა და მცონარა ნაბატონრების გაღარიბება ერთი იქნებოდა.

მოიპოვებოდა თავად-აზნაურებში ათასში ერთი ისეთიც, რომელიც მიწის მუშაობას არა თაკილობდა, გონივრულ და დღე და ღამ დაუღალავ გარჯა-შრომით უფრო მეტად მდიდრდებოდა, ადამიანის სულიანხორციანად დამღუპავი ლოთობა, მეძაობა და მფლანგაობა ქირივით ეზიზღებოდა და მეფურად სცხოვრობდა ალალ შრომით მონაგარ დოვლათის წყალობით.

ასეთი მშრომელი თავადი თუ აზნაური სადილთ-უკან ტკბილ-ხმოვან ჩანგს აჟღერებდა, მისი ანგელოზივით დახატულნი ქალ-ვაჟნი ჩანგს დაჰმღეროდნენ გულ-წარმტაცად, მეტის ნეტარებით დამთვრალი დედა მათი თვალებსა ჰპლურწავდა ღამე-ნატეხ, კოპწია პატარძალივით და ედემ-ბაღით გარშემორტყმულ სახლის ღია ფანჯრებიდან გულ-საამებლად შემოდიოდა ათასნაირ ვარდ ყვავილების სურნელებით გაჟღენთილი ნელი ნიავი, გულმკვნესარეთ მგალობელ ბულბულთა სტვენა-კისკისი და მოუსვენარი ხმაურობა-ჭიკჭიკი ცელქ ბელურა ჩიტებისა.

სოფელს ვერაშენდაში ორმოც კომლამდის თავად-აზნაურობა და სამას კომლამდის გლეხობა სცხოვრობდა. ბატონ-ყმობის გადავარდნის შემდეგ იმ სოფლის თავად-აზნაურებში მარტო ერთს თავადს—გენო გამრჯელიძეს-ღა ედგა პირში სული ხეირიან გარჯა-შრომის წყალობით და ხელ-მომჭირნე დამზოგველობით. დანარჩენები-კი ისე საბრალოდ გაღარიბებულიყვნენ თავიანთ სიამპარტავნით, მცონარობით, გაურჯელობით, უთავბოლობით და ფულის უგუნურად ფანტვა ფლანგვით, რომ სული კბილით-ღა ეჭირათ და შინ კატა ველარას შეუჭამდათ და გარედ ძაღლი.

სოფელ ვერაშენდის შუა-გულას, ჯვარედინ გზის პირზედ თავად რეზიკო მცონარაძის ორ-სართულიანი, ყავარ დამპალ დაგლეჯილი სახლი იდგა ქვითკირისა.

მცონარაძის თავმომწონე ცოლი, კნეინა ფეფე-კი მაინც შახს არ იტეხავდა და მზეწვიმისგან დამპალს აივანზედ თავსაიდ დანარნარებდა წყალ-წყალა ჩიტივით, მედიდურად ჩამოსცქეროდა ჯვარედინს გზაზედ გამვლელ-გამომვლელს და თან გულს ირთობდა ასეთ სასიამოვნო ფიქრებით: „ამაზედაც რომ უფრო მეტად გავღარიბდეთ, არას ვიდარდებ, მაინც კიდევ ჩვენი სისხლი სხვა არის და მაშინაც კნეინას დამიძახებენო".

თითქმის ყოველ საღამოს ჰხედავდა კნეინა ფეფე მინდვრიდან მომავალს, თხუნველასავით ტალახსა თუ მტვერ-ბუქში ამოგანგლულს გლეხს რამკაკოს, რომლის დანახვის უმალ დაცინვით ამბობდა ხოლმე აივანზედ გადმომდგარი კნეინა: „ვიშ, ნეტა იმას, ვინც ამაღამ შენ გადაგეხვევა, ლორივით ამოთხუპნულსო"! ამ დამცინავ სიტყვებს ყურში აგონებდა კნეინა სახლისაკენ მიმავალ მიწის მუშა—რამკაკოს, მაგრამ რამკაკო ბინუნშიაც არ იგდებდა, ხმა-ამოუღებლივ მიდიოდა არხეინად და ამ მრავალ აზროვან ანდაზას ღუღუნებდა გუნებაში: „ვინც რა უნდა თქვასო, წისქვილმა-კი ფქვასო, ბოლოსა ვნახამთო, თქვენს ცხვარსა და თხასო".

მიყიდ-მოყიდა და დააგირავა, რაც-კი რამ ებადა მცონარაძეს და ბოლოს ისე გაუჭირდა საქმე, რომ რის ვაი-ვაგლახით-ღა შოულობდა სესხით თითო-ოროლა გროშს ნათესავებსა და მეგობრებში. იშოვნიდა თუ არა ორიოდე შაურს მშიერი მცონარაძე, სწრაფად წამოავლებდა ხოლმე ხელს პატარა ტოპრაკას და შურდულის ქვასავით მიგუგუნებდა რომელიმე გლეხისაკენ მჭადის ფქვილის სასყიდლად. როცა გლეხი ეკითხებოდა: „რისათვინ გინდა, ბატონო, ეს ერთი ნიტრა მჭადის ფქვილიო?" „ძაღლებისათვის სალაფავათო",—უპასუხებდა ამპარტავანი მცონარაძე, მაგრამ ძაღლებისათვის რა ბრძანებაა, კნეინა ფეფე მჭადის კეცეულებს აცხობდა მალვით-ფარვით და ისა და მისი დამშეული ქმარ-შვილი თუთლუპი ლეღვივითა ჰყლაპავდნენ ცხელ-ცხელ მჭადებს შიმშილისაგან გაშმაგებულნი. დიაღ, შიმშილი ძნელია, ადამიანი ღმერთსაც კი დაივიწყებს და ჭამა-სმას კი ვერაო, ხომ მოგეხსენებათ ქართული ანდაზა.

ბოლოს მცონარაძეს თვალზე მისაკრავი გროშიც აღარავინ ასესხა და გულ-მოსულად ეუბნებოდნენ მისგან თავ-მობეზრებული ნათესავები და მეგობრები: „კარგი, თავი დაგვანებე, თუ ღმერთი გწამს, ყველას ჩვენი თავი გაგვეჭირვებიაო". ოხ, თქვენი მტერიც ნუ ჩავარდეს იმ დღეში, უგროშ-ფულო მცონარაძესა და მის საბრალო ცოლ-შვილს რომ შავ-ბნელი დღე დაადგათ მაშინ. უგრძნობე-

გიშოვნით, ამიტომ ფიქრს შესაფერისად ვერ გვამკობთ. შემდგომისთვის, გარდა სურათებისა, იმათ ნაშრომის გამოფენასაც გპირდებით.

შინაარსის მხრივ მხოლოდ წელს ვიყავით ბედნიერნი. საკონცერტო განყოფილებაში ადგილობრივ ოპერის საუკეთესო მსახიობებმა მიიღეს მონაწილეობა. ქ-ნმა შუდგინამ (ბახუტაშვილის ასული) მშვენივრად შეასრულა „ისევ შენ და ისევ შენ“... ბ-მა კამიონსკიმ—„შენ გეტრფი მარად“ და ბ-ნმა ბარისენკომ—„ორთავ თვალის სინათლევ“... ამ პატივ-ცემულ მსახიობთა სიმღერამ ყველანი აღტაცებაში მოიყვანა. ბ-მა ფალიაშვილმა ექვსის დღის განმავლობაში მგალობელთა გუნდი ისე ხინებულად მოამზადა, რომ თვით ქართველებისაგან შემდგარ გუნდს არაფრად არ ჩამოუვარდებოდა. თვით გამგენი ისე აღტაცებით ვუსმენდით, რომ ადგილობრივმა გაზეთებმა გვიგიჟიანეს კიდეც, გამგენი დიდად აღტაცებულნი იყვნენო. დღევანდლამდის ლეკურს ადგილობრივ რუსის ქალებს ვასრულებინებდით. წელს აქაც ბედმა გაგვიღიმა ქ-ნ ბადარჩიშვილის ასულმა (კიევში კბილის ექიმობის კურსებს ამთავრებს) სტუდ. რ. ყანჩელსა და ს. ნათიშვილთან ერთად დუდუკზე კარგად შეასრულა ლეკური. სახსოვრად მოტანილ სხვადასხვა საზოგადოებას ქართველთა შორის სახმარებელი ნივთები ვუძღვენით. საზოგადოება დიდად ნასიამოვნები დარჩა. არც ჩვენ ვიტყვით ნირს. მაგრამ, ცოტა არ იყოს, მაინც ვწუხვართ. წარსულ საღამოზე ვიზარალეთ, წელს თუმცა არ ვიზარალნია, მაგრამ არც მოგება დიდს სათქმელად. ხალხი დიდ ძალი დაესწრო, მაგრამ რა გამოვიდა, ყველა იაფ-ფასიან ბილეთებს ყიდულობდა.

ქართველი სტუდენტობა დიდ-მადლობას უცხადებს, როგორც ბ-ნ მ. ვ. ბაგრატს, ისე ყველა იმათ, ვინც მონაწილეობა მიიღეს ქართულ საღამოს გამართვაში, დიდად ვმადლობენ აგრეთვე ბ-ნ ხაჯანალოვს, რომელმაც ხალიჩები უსასყიდლოდ დაგვითმო.

სტუდენტი.

ქუთაისის ქალაქის საბჭო

3 მარტს საბჭოს უნდა განეხილა მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვა. ვიდრე ხარჯთ-აღრიცხვას შეუდგებოდნენ, მოურავმა მოახსენა კრებას, გამგეობამ სამჯერ მოიწვია კომისია, რომელსაც მინდობილი აქვს პურის ეხლანდელ ნიხრის შესახებ თავისი დასკვნის წარმოდგენა, მაგრამ სხდომა არც ერთხელ არ შედგა; მეპურეები კი მუდამ თავს გვაბეზრებენ, მალე გადაწყვიტეთო. ჩვენც იძულებული გავხდით, ეს საქმე საბჭოსთვის წარმოგვედგინაო. საბჭომ დაადგინა ისევ ძველი ნიხრი დარჩეს: პირველი ხარისხის პური თუა ორი შაური; მეორე ხარისხის—9 კაპეიკი და მესამესი— 8 კაპეიკი.

შემდეგ გ. ი. ჭილაძე შეეკითხა გამგეობას, აცნობოს საბჭოს, რა მდგომარეობაშია წყალსადენის, ან ელექტრონის ტრამვაის საქმე. თუ საქმე უნუგეშო მდგომარეობაშია, როგორც ამბობენ, უმჯობესია დაუბრუნოთ ამხანაგობას გირაოდ წარმოდგენილი 30,000 მანეთი და როგორმე თავი განვთავისუფლდეთო. მოურავმა მოახსენა საბჭოს, ქალაქი მართლაც ცუდს მდგომარეობაშიაო. რამდენჯერმე შევეკითხეთ ამხანაგობის გამგეობას, ეცნობებინა, რა მდგომარეობაშია საქმე, მაგრამ პასუხი არ მოგვცა. ბოლოს გამგეობის თავმჯდომარეს მივწერეთ წერილი. უკანასკნელმა გვითხრა, ამხანაგობის გამგეობას სურს საქციონერო საზოგადოება დაარსოს და დაწყებულ საქმეს მალე შეუდგებაო. პირობის ძალით, ქალაქის გამგეობას წყალსადენის შესახებ ჯერ-ჯერობით მეტი არაფერი შეუძლიან, რადგან ამხანაგობას 2 წლის ვადა აქვს მიცემული საქმის დასამთავრებლად. რაც შეეხება ტრამვაის საქმეს, მოურავმა განაცხადა: ამხანაგობას იმის ვადა კი აქვს დანიშნული პირობაში, როდის უნდა წარმოადგინოს სატეხნიკო პროექტი, თითქმის დამატებითი ვადაც დავუნიშნეთ; მაგრამ იმის ვადა კი არაა გარკვეულად აღნიშნული, როდის უნდა დაიწყოს მუშაობა. თუმცა ვადათ 2 წელიწადი აქვს დანიშნული, მაგრამ ეს ვადა რა დროდან უნდა ვიანგარიშოთ, არაფერია ნათქვამი. ჩემის აზრით, ასეთ დროდ უნდა ჩაითვალოს ის დღე, როდესაც პროექტი იქმნება წარმოდგენილი. ხმ. ჭილაძის წინადადებით საბჭომ გადასწყვიტა, ხარჯთ-აღრიცხვის განხილვის შემდეგ აირჩიოს იურისტთა კომისია და მიანდოს იმას, განიხილოს ეს საქმე.

როგორც საგარაუდო ხარჯთ-აღრიცხვიდანა სჩანს, ქალაქს მიმდინარე წელს ხარჯი ექმნება 232,101 მ. 40 კაპ. (ე. ი. შემოსავალზე 2 კაპეიკით ნაკლები!). უმთავრესი ხარჯებია: ა) თვითმართველობის შენახვა—22,856 მ. 96 კ. საბჭოს ეს მუხლი არ განუხილავს მთლად, რადგან ასეთ შემთხვევებისთვის საბჭოს თავმჯდომარედ არჩეული ა. ი. ფიფიანაშვილი არ იყო სხდომაზე, რაც განიხილა, თითქმის უცვლელად დასტოვა. ბ) ჯარებისათვის სადგომების დასაქირავებელი გადასახადი—21,654 მ. 81 კაპ.—უცვლელად მიიღო. გ) ქალაქის პოლიციის შესანახი—26,998 მ. 35 კაპ. გარდა ამისა, ქალაქს ჰქონია წინა წლების დარჩენილი პოლიციის ვალი—26,065 მ. 07 კაპ., მაგრამ ეს არ შეუტანია ამ წლის ხარჯში, რადგან პატიების შესახებ შუამდგომლობაა აღძრული. თქვენს მტერს, ქუთაისს დღე დაადგება, თუ მთავრობამ ეს შუამდგომლობა არ შეიწყნარა: ქალაქის შემოსავალი მთლად პოლიციას მოუნდება! ქალაქი შეშის ფასს პოლიციას ფულად აძლევს; პოლიცმეისტერს—10 საჟენი, სამ ბოქაულს თითოს 7 საჟენი. ამ საგანმა კამათი გამოიწვია: ფულის მაგივრად რატომ შეშას არ ვაძლევთ, როდესაც ქალაქს თავისი შეშა აქვსო. საბჭომ დაადგინა: გამგეობამა და კომისიამ შეჰკრიბონ ცნობები, რამდენი შეშაა საჭირო პოლიციის მოსამსახურეთათვის; შემდეგ წინადადება მისცენ, ფულის მაგივრად შეშა მიიღონ. დ) ქალაქის კეთილ-მოწყობისათვის ნავარაუდევია 52,883 მ. 48 კაპ. ამ ხარჯში შედის ტფილისის ქუჩის მოკება გრანიტის კუბიკებით. ე) საექიმო, საბეითლო და სასანიტარო ნაწილისათვის გადადებულია 22,821 მ. კამათის დროს აღმოჩნდა, რომ ხშირად ქალაქის ბეითალი და ფერშლები გაუსინჯავად დაღავენ დაკლულ ღორებს. ვ) სწავლა-განათლების გასავრცელებლად ნაანგარიშევია 22,008 მან., მაგრამ ნურავინ იფიქრებს, რომ ეს ყოველწლიური ხარჯი იყოს: ამაში შედის ვაჟთა გიმნაზიის ძველი ვალი 11,927 მან.

ხარჯთ-აღრიცხვის დანარჩენის ნაწილის განხილვა გადაიდო 6 მარტისთვის.

დონ ვალიანი

დაბა-სოფლები

სოფ. თმენიყავა (ოსეთი). შარშან ზაფხულს თმენიყავის თბილ წყალზედ, როგორც მკითხველთაც გაგონილი ექნებათ, ისეთი უბედურება დაატრიალა მაღლის მყინვარმა, რომ ჯერ ხანს არ დაავიწყდებათ მთაში მცხოვრებთ. შარშან დაღუპულ ხალხისა და საქონლის ასობით ნაწილები ჩამოვარდნილ ყინულის ქვეშიდან დღესაც ხან გამოშვებით გამოაქვს ხოლმე მდინარე განაღდონს. მცხოვრებთ ამ მდინარის დანახვაც-კი შესძაგდათ. მას აქეთ მყინვარი კიდევ რამდენჯერმე მოგჯა და ჩამოვარდა; თბილი წყლის დიდი ხეობა სულ ერთიან აივსო და თვით თბილი წყლის ხომ ხსენებაც აღარსად არის. შარშანდელი უბედურება არ აკმარა ბუნებამ მთაში მცხოვრებთ და მაღლის მყინვარი ამ ჟამად კიდევ დაიძრა; თუმცა ჯერ არ ჩამოვარდნილა, მაგრამ გათბება თუ არა, მყინვარი უეჭველად ჩამოწვება. რასაკვირველია, ამ ხეობაში მცხოვრებთ შეეკვრით გზა და აგრე სოფლ. არხოტს, გაზელს, არდონს და სხვათ დაავრის ხეობს.

მცხოვრებნი დახმარებას სთხოვენ მთავრობას, მაგრამ არაფერი ისმის. რადგან მყინვარის ჩამოვარდნა აუცილებელია, მთავრობის განკარგულებით ამ ხეობაში შესავალი გზა მარტიდან უნდა შეიკრას; უნდა ყარაული დააყენონ, რომ მყინვარის ჩამოვარდნის დროს კიდევ უბედურება არა დატრიალდეს-რა. გზას შეკვრას უპირებენ, მაგრამ იმას კი აღარ ჰფიქრობენ, საით უნდა იარონ ამ ხეობის მცხოვრებთ, საით უნდა გაიჩინონ გზა, რომ ითლას წავიდნენ და ბარიდან საზრდო მიიტანონ შინ?..

ქ—ლი ო—ში.

სოფ. ჯაირახიქიშტები (ოსეთი). ამ დიდ მარხვის პირველ კვირაში ერთმა აქაურმა ქისტმა გაიტაცა რამდენიმე ამხანაგი და გასწია ნაზრანში ქისტის სოფელში წინადვე შეგულებულ სახლში, ერთს ქვრივ დედაკაცთან, ქალის მოსატაცებლად. მომტაცებლებმა ღამე შეამტვრიეს სახლის კარები და ბნელაში ქალის მაგივრად დაავლეს ხელი მძინარე ქალის დედას, წაახვიეს საბანში, ჩადეს ურემში და გაუყენეს გზას. ხარობდნენ და მხიარულობდნენ, რომ ასე შეუმჩნევლად გადარჩნენ და წამოიყვანეს ქალი, მაგრამ მომტაცებლებს დედაკაცმა შეჰყვირათ: სად მიგყევართ, თქვე უღვთოებო, მე დედა ვარო“. პირს კატა ნაცემთ, საჩქაროდ გააბრუნეს ქვრივი, თან დატუქსეს, სოფელში ხმა არ ამოიღო. შემდეგ ხელ-ახლა შეუცვივდნენ ქვრივს, გამოიტაცეს ქალი, ქვრივი-კი ხელფეხ გაკრული დასტოვეს და გასწიეს. მეორე დღეს სოფელმა, რასაკვირველია, გაიგო ეს ამბავი; შეიარაღებული ქისტები მიადგნენ ჯაირახის სოფელს, მაგრამ იმან, ვისთანაც მომტაცებელი და ქალი იყვნენ შეხიზნული*), დააშოშმინა მღელვარედ მოსული ხალხი. გაიმართა ახლა მორიგება; შუაკაცებმა ქალის მომტაცებელს გადაუწყვიტეს ურვათი: ოთხმოცი თუმანი ფული, ორი ხარი, ორი ძროხა, ორი ცხენი და ათი ცხვარი.

ამოდენა ურვათი რითი უნდა გადაიხადოს ქისტმა? რასაკვირველია, უნდა იქურდოს, მოიპაროს და იმითი...

ქართველი ოსეთში.

სასამართლო

გედევანიშვილისა და სტურუას მოკვლა მატარებლის ვაგონში.

სამ მარტს, სამხედრო ოლქის სასამართლო ბაქოში შეუდგა ამ მკვლელობის საქმის განხილვას. ჩვენმა მკითხველებმა მოკლედ უკვე იციან იგი. აი, საბრალმდებლო აქტში რას გადმოგვცემს.

კანტრალიორის თანაშემწე გედევანიშვილი და კონდუქტორი სტურუა მოჰკლეს შარშან 15 სექტემბერს პირველ კლასის ვაგონში, სანგაჩალისა და დუვანის სადგურებს შუა. ამავე ვაგონის მეორე კუპეში მიხდარან იუზბაშევი და თუმანიანცი. მეზობელ კუპედან, სადაც გედევანიშვილი იყო, იმათ საეჭვო ხრიალი და ხმაურობა შეუსმიათ თურმე. სტუდენტს თუმანიანცს კარიდორში გაუხედნია, სადაც ვიღაც მაღალი კაცი მდგარა. ამ კაცს რაღაც მოუქნევია დასარტყმელად თუმანიანცისთვის, რის გამო ეს უკანასკნელი კუპეშივე შევარდნილა და კარები მოუხურნია. შემდეგ მატარებელი მოულოდნელად შეჩერებულა, და სამი კაცი, რომელთაც უკანასკნელი კუპე სჭერიათ, სადღაც დამალულან. როდესაც შეუხედნიათ კუპეში, გედევანიშვილი სისხლში მოსვრილი და გრძნობა დაკარგული იატაკზე ეგდო თურმე. აქა-იქ ჭრილობა ჰქონდა. ვაგონში არ აღმოჩნდა კონდუქტორი სტურუა. მკვლელებს კუპეში დარჩენიათ კალოშები და შავი ქუდი. სადგურზე მისვლისას სადგურის უფროსი წასულა სტურუას საძებნელად და რკინის გზის მე-745 ვერსზე კიდეც უპოვნია იმისი გვამი. იმასაც რამდენიმე ჭრილობა აღმოაჩნდა. გედევანიშვილის ჭრილობანი იმდენად მძიმე აღმოჩნდა, რომ აუცილებლივ მეორე დღესვე გარდაიცვალა.

15 სექტემბერსავე მკვლელობის ამბავი აცნობეს ბაქოს მაზრის უფროსს, რომელმაც მაშინვე დარაჯნი გაგზავნა მკვლელთა საძებნელად. დარაჯნი ორად გაიყვნენ. ერთ ჯგუფს ვოლხი-ვერხოტას სადგურის მახლობლად შეუპყრია გ. კოლომინი, რომელსაც დასისხლიანებული პიჯაკი ეცვა თურმე. როდესაც მაზრის უფროსმა გაჩხრიკა, კოლომინს აღმოაჩნდა რევოლვერი, ტყვიები, ქისა და ერთად გადაბმული ოთხი გასაღები. როდესაც კოლომინს ჩააცვეს კუპეში დარჩენილი კალოშები, ძალიან კარგად გამოადგა. გაიგეს აგრეთვე, რომ იმის ჯიბეში ნაპოვნი გასაღებები მოკლულ გედევანიშვილისა ყოფილა. სინჯეს და ერთი გასაღები გედევანიშვილის სტოლს გამოადგა კანტორაში, მეორე იმის საწერ სტოლს, მესამე—ჩემოდანს და მეოთხე—პორტფელს. ამასთან კოლომინის ცოლმა, როდესაც გასაღები უჩვენეს, სთქვა, რომ ჩემს ქმრის ხელში არც ერთი ეგ გასაღები არ მინახავსო. ყველა ამის გამო ეჭვი შეიტანეს, რომ ერთი მკვლელთაგანი კოლომინი უნდა ყოფილიყო.

მაზრის უფროსის მიერ გაგზავნილმა დარაჯთა მეორე ჯგუფმა ერთ ადგილას იპოვნა ცარიელი ქისა და ხელსახოცი, რომელსაც ასოები „პ“ და „ს“ ჰქონდა. მეორე დღეს იქვე მახლობლად დარაჯთა უფროსმა ალიბეკოვმა იპოვნა დასისხლიანებული ბებუთი. ოქტომბერში ბოქაულმა ქიქოძემ შეიპყრო ლიუბიმოვი და ჩერნიკოვი, რომელნიც გამოტყდნენ, კოლომინთან ერთად ჩვენ მოვკალით გედევანიშვილი და სტურუაო. ამასთან ის ადგილიც დაასახელეს, სადაც დაემალათ ხანჯალი, პასპორტი, ქისა, კარანდაში და გედევანიშვილის სხვა ქაღალდები და ის ორმო, სადაც კოლომინს მკვლელობის შემდეგ ჩაეგდო თავისი დასისხლიანებული პერანგი, გალსტუხი, შლიაპა და ქამარი. ექიმმა გედევანიშვილმა, როდესაც ქისა აჩვენეს, სთქვა—ჩემის ძმისა არისო.

გამოძიების დროს ჩერნიკოვმა და ლიუბიმოვმა სთქვეს: კოლომინი ადრევე გვირჩევდა, მოვიპაროთ ან წავართვათ ვისმეს ფულიო, მაგრამ ჩვენ უარზე ვიყავით. 14 სექტემბერს კოლომინს ერთ ტრაქტირში უთქვამს, რომ იმავე დღეს, საღამოთი, საფოსტო მატარებლით ბაქოდან ტფილისში უნდა წასულიყო ფულიანი ახალგაზრდა კაცი, გვარად თუმანიანცი. როდესაც ეს ამბავი გვაცნობა, ვიყიდეთ გახამებული პერანგები და, საზოგადოდ, გამოვეწყეთ ისე, რომ პირველ კლასის კუპეში ყოფნის დროს საეჭვოდ არავის ეჩვენებოდით. საღამოთი წავედით სადგურზე. აქ კოლომინმა დაინახა ვიღაც სტუდენტი მახლობელთან და გადასწყვიტა ეს არის ფულიანიო. დავინახეთ, რომ სტუდენტმა პირველ კლასის ბილეთი აიღო, ჩვენც ავიღეთ და შევედით ვაგონში. კოლომინს ვერ დაენახა, რომელ კუპეში შევიდა სტუდენტი. როდესაც სანგაჩალის სადგურს გავცდით, გადავწყვიტეთ საქმეს შევდგომოდით. ჩვენ, ლიუბიმოვი და ჩერნიკოვი, კუპეში დავრჩით, კოლომინი-კი გავიდა გარედ, სადაც ვაგონის შესავალზე სტურუა იდგა. კოლომინმა მოსთხოვა კუპეების გასაღებები, მაგრამ სტურუამ უარი უთხრა. მაშინ კოლომინმა დასცა ბებუთი და სტურუა იქვე წაიქცა.

სტურუას მოკვლის შესახებ კოლომინს უთქვამს, სამივემ მოვკალით და არა მარტო მე, როგორც ეგენი ამბობენო. როდესაც სტურუა მოუკლავთ, გასაღებები ჯიბიდან ამოუცლიათ და იმისი გვამი ვაგონიდან გადაუგდიათ, სამივეს ამოუღიათ ქარქაშებიდან ხანჯლები, დაუჭერიათ რევოლვერები, ხოლო კოლომინს—ბებუთიც და წასულან კუპესკენ, ვითომდა სტუდენტის გასაძარცვავად. მაგრამ შეცდომით გაუღიათ გედევანიშვილის კუპე. შესვლისთანავე კოლომინს უთქვამს გედევანიშვილისთვის, ფული მოიტაო, მაგრამ ეს უკანასკნელი წამომხტარა, დაუყვირნია და უტაცნია ხელი კოლომინისთვის. ამ დროს ერთ ბოროტ მოქმედს (ჩერნიკოვი და ლიუბიმოვი კოლომინს აბრალებენ, ხოლო კოლომინი—პირველთ) ბებუთი დაურტყამს თავში გედევანი-

ლი ქვაც კი იწვებოდა იმათი საცოდაობით და მგრძნობელი ადამიანები კი აინუნშიაც არ აგდებდნენ იმათ მომაკვდინებელ გაჭირვებას, პირიქით, შეუბრალებელი მოვალენი სახრჩობელას თოკივით ყელში უჭერებდნენ და ათასნაირ ბიაბრუობას აყენებდნენ საქვეყნოდ: „მოგვეცით ჩვენი ვალი, თქვე უსაქმურობისაგან გულა დამშეულო მჭად-აზნაურებოო“ და ვინ მოსთვლის, რაებს არ აკადრებდნენ იმ საცოდავებს.

შეებრალა გლეხს რამკაკოს თავის ნაბატონარ მცონარაძის წვრილი შვილები და გაუბედა ერთხელ როგორც იყო მცონარაძეს:

— რაზე იხოცებით, კნიაზო, შიმშილით. წამო, მიშველეთ შენ და შენმა კნეინამ სამეურნეო საქმეში: ყანისა და ვენახის სამარგელში და კაი ბამბიქულასავით შოთებსაც გაჭმევთ მუდამ დღე, ზედ ყინვასავით ცივსა და ბროლივით კამკამა წყაროს წყალსაც დაგალევინებთ, შენ ხარ ჩემი ბატონი, და ფასსაც მოგართმევთ, როგორც კი დღიური მუშა ფასობს ეხლა სამარგელშიო.

ისე ეწყინა ეს სიტყვები მეტის-მეტად გულამაყ მცონარაძეს, კინაღამ ხანჯლით შუა არ გასწყვიტა რამკაკო. მაგრამ უწყალო შიმშილმა რომ მთავარი სულის ამოხდა დაუპირა მცონარაძეს და იმის მარგალიტივით დახატულ ცოლ-შვილს და ჰხსნა აღარსაით იყო, მოგეცათ ღვთის წყალობა, მაშინ კი იკადრა შიმშილისაგან მორჯულებულმა მცონარაძემ და მისმა კნეინამ რამკაკოსთან სამარგელში მუშაობა. დიახ, უგუნურ ამპარტავნობის ადვილად მოსარჯულებელი წამალი გაჭირვება ყოფილა თურმე ქვეყანაზე.

გულ-კეთილი რამკაკო ძალიან თავაზიანად ექცეოდა ნაბატონრებს: მალ მალე ასვენებდა ჭანდრის ჩრდილში მუშაობას არ-ჩვეულს მცონარაძეს და უქმელ-უსმელობით ძვალტყავად ქცეულს მის კნეინას, რომელმაც გონზე მოსულ სინანულის გულ-ახდილობით უთხრა ერთხელ რამკაკოს:

— მაპატიევე, საქებურო მუშაკ-რამკაკო, ისეთი უჭკუო ვიყავ აქამდის, რომ მიწის მუშაობაში ჩუმსავით ამოგანგლულს უგუნურად დაგცინოდი ხოლმე მინდვრიდან შინისაკენ მომავალს. მე მაშინ ჭკუა არა მქონდა, ეხლა მოველ ჭკუაზე, მე უბედური.

და რამკაკო კი, ვითომ არ მესმისო, ტკბილად ღუღუნებდა მუშაობაში ამ სიტყვებს:

ქვეყნისა ამშვენებელო,
ღვთისგან ნაკურთხო შრომაო,
ხიდს გაზებ დიდსა ზღვაზედაც,
თუ კაცმა მოგკიდოდაო;
ცამდისაც კიბეს აჰმართავ,
იტიროს უსაქმობამაო,
უშენოდ ჩაუშხამდება
მეფესაც ტახტზე ჯდომაო!

ქიზიყელი.

---

*) ქისტებში და ოსებში ქალს რომ მოიტაცებენ, მომტაცებელი სოფელში ერთ რომელსამე გამოჩენილ კაცს შეეხიზნება სტუმრად და მასპინძელი მოვალეა პასუხი უგოს მომტაცებლის მაგივრად ქალის პატრონს.

შეილისთვის. ამის შემდეგ სამივენი დაჭრილის ჩხრეკას შესდგომიან. კოდომანს აუღია ქისა, დიუბიმოვს—გასაღებები, ხოლო ჩერნიკოვს—უბის წიგნი, საბუთის ქაღალდები და კარანდაში. როდესაც გაუძარცვიათ, ტორმოზით მატარებელი შეუჩერებიათ, ვაგონიდან გადმხტარან და წასულან. დარჩენიათ ვაგონში კალოშები და ქუდი.

ახალი საშუალება უსინათლობის წინაალმდეგ

(წერილი პარიზიდან)

ბოლოს დროს კვლავ დაიწყეს ლაპარაკი უსინათლობის წინაალმდეგ საშუალების შესახებ. პროფესორმა პეტერ სტიენსმა გამოიგონა მანქანა, რომლის საშუალებით შეუძლიათ მხედველობა დაიბრუნონ არამც თუ იმათ, ვისაც თვალის სინათლე წაერთვათ, არამედ საგნების დანახვა შეეძლებათ იმათაც, ვინც დაბადებითვე უსინათლონი ყოფილან. როგორც მოგეხსენებათ, თვალები იმ სამსახურს გვიწევენ, რომ ამა თუ იმ სურათს, ოპტიურ (მხედველობის) ნერვების საშუალებით აღბეჭდავენ ტვინში, სადაც, სხვათა შორის, მხედველობის უჯრაა მოთავსებული. თუ კი სურათი რამე შეიძლება თვალების დაუხმარებლად აღბეჭდოთ ტვინში, ბრმას რაღა დაუშლის იმნაირადვე დაინახოს ღვთის გაჩენილი ქვეყანა, როგორც ყველა თვალხილულმა.

პროფესორ სტიენსის მანქანა იმ კანონზეა დამყარებული, რა კანონზედაც ტელეფონია დამყარებული, და მისი დანიშნულებაც ის გახლავთ, რომ გადასცეს სინათლე, როგორც ტელეფონის დანიშნულება—ხმის გადაცემაა.

ექიმს კაზს თვითონ თავის-თავზე უცდია ამ საკვირველ მანქანის თვისება. ეს ექიმი შეუყვანიათ სრულიად დაბნელებულს ოთახში და ორივე თვალი მაგრად აუხვევიათ, ასე რომ სინათლე შიგ ვერას გზით ვერ გაატანდა, მხოლოდ ის გაუგონია, როგორ მოუკიდა პროფესორმა სტიენსმა ლამპარს, მაგრამ სინათლე კი არ უნახავს. პროფესორს მანქანა ექიმის საფეთქლებთან რომ მიუტანია, ჯერ ოდნავი სინათლე უგრძვნია, მერე ეს სინათლე თანდათან გაძლიერებულა: მოკლე ხანში ექიმს შეეძლო თურმე დაეთვალა პროფესორის თითები, ოთახში დადგმული სკამები.

საექიმო მეცნიერების რამდენიმე წარმომადგენელმა სცადა ეს მანქანა და ყველამ მოიწონა. დაწვრილებითი ცნობები ამ მანქანის შესახებ ჯერ არ არის გამოქვეყნებული, მაგრამ, იმედია, ეს დიადი აღმოჩენა არ დაიხანებს მოკლეს ხანში ნუგეში სცეს მრავალთაგან მრავალ უსინათლოს, დაკარგული თვალთახილვა დაუბრუნოს, და ამ რიგად სამარადისო სალოცავად გახდეს ზემო აღნიშნულ მანქანის გამომგონის სახელი.

ქართული საღამო ერივანში

(ანგარიში)

ამ წლის იანვრის 26-ს ერევანში გაიმართა პირველი ქართული საღამო „ქ. შ. წ.-კ. გ. ს." სასარგებლოდ. შემოსავალი იყო: ბილეთების გაყიდვით 408 მანეთი, ზედმეტები—213 მანეთი და 60 კაპ.; ბუფეტი, ფანტები და წერილები—423 მანეთი და 40 კ.; მაზრებიდან შემოწირულება—180 მან. 70 კ.—სულ შემოვიდა 1224 მ. 70 კ. დაიხარჯა: საღამოს გამართვა-მოწყობაზე—469 მ. 60 კ., დარჩა წმინდა შემოსავალი 755 მანეთი 10 კ., რომელიც უკვე გაეგზავნა „წ. კ. გ. საზოგადოების" გამგეობას.

მაზრებიდან შემოსწირეს: ათ-ათი მანეთი: ქ.-ქ. ფანჩულძემ, ს. გ. ურდანოვმა და ს. ა. დუმბაძემ; ხუთ-ხუთი მანეთი: დ. გ. ნადირაძემ, თავ. ნ. ჩერქეზიშვილმა, მ. ო. ზურაბულიძემ, მ. ა. სარაჯიშვილმა, ა. ს. გიორგობიანმა, დ. ქუთათელაძემ, პატ. კოშკაძემ და ექიმმა ადგ.-მესხიევმა; სამ-სამი მანეთი—ხ. გ. ჯავახიშვილმა, მ. ა. მამულაიშვილმა, დ. ი. კიკნაძემ, პ. მეძმარიაშვილმა, დ. დ. ანდრონიკაშვილმა, გ. გ. დოდობერიძემ, ს. ბ. თოფურიამ, გ. ი. ეგდენტმა, პ. დ. ნადირაძემ, ს. ი. მესხმა, კ. დ. ჩარკვიანმა, დ. ნ. დათეშიძემ, გ. გ. სიდამონოვ-ერისთავმა, სომხის არხიმანდრიტმა ხორენმა და მ. გ. ქართველიშვილმა; 2 მანეთი და 20 კაპ: დ. გ. საყვარელიძემ; ორ-ორი მანეთი: ი. ს. ძოწენიძემ, ი. ბ. ჯგეშვილმა. მღვდელმა გ. ნადაძემ მეუღლითურთ; გ. მურადოვმა, მღვდელმა რომანოზ დარჩიამ, გ. ი. ფხაკაძემ, კ. კ. ჭეონიამ, ქალ. მუსხელიშვილისამ, ი. მ. სანაკოევმა, ა. მ. წუწუნავამ, ნ. კანდელაკმა, გ. ი. შენგელიამ, დ. ი. ბადრიძემ, კაპიტანმა ი. ხოსიტაშვილმა, ს. წერეთელმა, ნ. თოფურიძემ, გ. ი. გურგენიძისამ, მღვდელმა ზ. ლუკიანოვმა, გ. ბაქრაძემ და ი. ჯანდიერმა; 1 მ. 50 კ.: გ. ზარაფიშვილისამ, მღვდელმა აზარიანცმა და ს. ციხისთისშვილმა; თითო მანეთი: მ. გ. ზუდგინიძისამ მღვდელმა ყარიბოვმა, ა. მ. აბრამიანცმა, ა. გ. საბაგარმა, ა. გ. ტერ-მიქაელიანცმა, გ. კ. პეტროსოვმა, ზ. ი. ჟვანიამ და ა. მ. ზაალიშვილმა.

გულ-წრფელ და უღრმეს მადლობას მოვახსენებ, როგორც საღამოს გამგე, ზემოაღნიშნულ პირთ შემოწირულებისათვის, აგრეთვე იმათ, ვინც საღამოს გამართვისათვის შრომობდნენ, ხელი შეუწყვეს და იმის კეთილ წარმართვისათვის იზრუნეს. უღრმესს მადლობას მოვახსენებ ერევნის საზოგადოებას თანაგრძნობისათვის.

საღამოს გამგე **სოლომონ მიქელაძე**

P. S. დიდად სასურველია ეს ანგარიში ადგილობრივ გაზეთების სხვა რედაქციებმაც გადაბეჭდონ.

ს. მ.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

4 მარტი.

პეტერბურგი. დღეს მოულოდნელად გარდაიცვალა ზღვათა სამინისტროს მმართველი ადმირალი ტირტოვი. პანაშვიდს დაესწრნენ ხელმწიფე იმპერატორი, მემკვიდრე და დიდი მთავარი ალექსი ალექსანდრეს ძე.

— დღეს დედოფალი ალექსანდრა თეოდორეს ასული ალექსანდრო-მარინსკის საავადმყოფოში ბრძანდებოდა. დედოფალი მარიამ თეოდორეს ასული და ხელმწიფე მემკვიდრე ყაზანის ტაძარში ბრძანდებოდნენ.

რიგა. საბჭომ დაადგინა: ვიშუამდგომლოთ მილიონ ნახევარი მანეთი სესხად მოგვეცეს ელექტრონის სადგურის ასაგებად, რომელიც თვითონ ქალაქმა უნდა აწარმოვოს თავისის ხარჯით.

როსტოვი-დონზე. სახადით (სოფლე) ავადმყოფობა ქალაქში ვრცელდება. საავადმყოფოები ავსებულია. ექიმების რიცხვს უმატებენ. უმთავრესი მიზეზები ავადმყოფობის გაძლიერებისა—ცივი ამინდები, ცუდი წყალი და უმუშაობაა. უმეტესად ღარიბსა და ბოგანო ხალხშია ეს სენი გავრცელებული.

ლონდონი. ზღვათა სამინისტროში მოსამსახურეთა რიცხვი პალატამ დაამტკიცა 127 ათასი კაცი.

— გაზ. „მორნინგ პოსტ"-ს პრეტორიიდან ატყობინებენ: 27 რუსსა, ფრანგსა, გერმანელსა და იტალიელს პოლიციამ გამოუცხადა, 24 საათში კოლონიიდან გადითო, რადგან ამათ კოლონიაში ცხოვრების ნებართვა არ აღმოუჩნდათ.

— ნიუ-იორკიდან იუწყებიან: ამერიკელი ფულიანი კაცები აპირებენ ჩრდილო-ამერიკის ყველა არხების ერთმანეთ შორის შეერთებას, გაფართოვებასა და დაღრმავებას.

პარიზი. რუსეთის მთავრობამ საფრანგეთში გამოგზავნა ნადვ. სოვეტნიკი ბოლისკო, რომ აქაურ სამიწათ-მოქმედო გამოფენაზე საუკეთესო ჯიშის ხბოები იყიდოს რუსეთში კარგის საქონლის გასაშენებლად.

კონსტანტინოპოლი. პორტა ორ ელჩს მუდამ ატყობინებს რეფორმების შესახებ საქმეთა მსვლელობის ამბებს, მაგრამ იმასაც სჩივა, გვიჭირს რეფორმების შემოღება, რადგან ბოლგარელთა რაზმების მხრით უწესოებანი ხელს გვიშლისო; თუმცა ბოლგარიის მთავრობა სცდილობს ბოლგარიიდან გამოსულთ რაზმებში მონაწილეობა არ მიიღონ, მაგრამ ვერას გაჰხდაო; ამას გარდა, ბევრი იმათგანი, რომელთაც აპატიეს და გაანთავისუფლეს—კიდევ ბოლგარელთა რაზმებს მიეკედლნენ. პორტამ შვეციის მთავრობას მიჰმართა სათხოვარით, თქვენი ოფიცრები გამოგვიგზავნეთ, სამს ვილაიეთში საპოლიციო თანამდებობა მიიღონო.

5 მარტი

პეტერბურგი. დედოფალი მარიამ თეოდორეს ასული 4 მარტს საღამოს დანიას გაემგზავრა.

— ხელმწიფე იმპერატორმა უმაღლესად ბრძანა: გარდაცვალებულის ტირტოვის ადგილას ზღვათა სამინისტროს დროებით მმართველად დაინიშნოს ზღვათა მთავარ შტაბის უფროსი ვიცე-ადმირალი აველანი.

ვილნო. საგუბერნიო კომიტეტმა სხვათა შორის დაადგინა: გლეხობაში გავრცელებულ იქმნეს მეურნეობისათვის უმთავრესად საჭირო ცნობანი; განვამხნეოთ ხალხი ტყეების მოშენებაში და სამეურნეო საკუთრების დაცვაში; წვრილი კრედიტი დაწესდეს; სამეურნეო ამხანაგობანი დაარსდნენ; ისე მოეწყოს საქმე, რომ მეურნეობის ნაწარმოები მწარმოებელთ პირ-და-პირ ჩააბარონ სახაზინო დაწესებულებათ.

მოსკოვი. დაარსდა მემამულეთა შორის საურთიერთო საკრედიტო საზოგადოება. სესხი მოკლე-ვადიანი იქმნება.

დრეზდენი. მოვიდა გერმანიის იმპერატორი.

— გამოცხადდა მეფის მანიფესტი. სამხრეთისაკენ გამგზავრებისას მადლობას უცხადებს იმ მონაწილეობისათვის, რომელიც მისთვისა და მისის ოჯახისათვის მეტად მძიმე უბედურებით გამოწვეული იყო. მეფე იმედს აცხადებს, რომ ხალხის შეწუხება და აღელვება მშვიდობიანობასა და წინანდელ ნდობას დაუთმობენ ადგილს. მეფე სთხოვს: ვერწმუნეთ, ამ დაუსრულებელ სამწუხარო მოვლენას საფუძვლად უძევს მხოლოდ დიდის ხნობით დაცემულ დედაკაცის დაუდგრომელი გულის-ნდობანი.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ჯაბადარი**

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 ოქტომბრიდან 15 მაისამდე

(ფრჩხილებს გარეშე ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში-კი—ტფილისისა)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს:—1) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 05 წ. (8 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

ბაქოს:—1) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 5 წ (12 ს. 3 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 11 წ. (10 ს, 9 წ.); 3) სწრაფი № 20 (სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე)—დილის 7 ს. 18 წ. (8 ს. 16 წ.).

ყარსს:—1) საფოსტო № 7/71 საღამოს 10 სა 29 წ. (11 ს. 27 წ.); 2) სამგზავრო და საქონლის. № 74/75 დილის 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).

მიხაილოვოსა და ბორჯომს:—სამგზავრო № 7 ნაშუადღევის 1 ს. 52 წ. (2 ს. 50 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ:—1) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 54 წ. (10 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 50 წ. (8 ს. 48 წ.).

ყორაპანამდე: საღამოს 11 ს. 23 წ. (12 ს.21 წ.

გ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ:—1) საფოსტო № 3 საღამოს 11 ს. 45 წ. (12 ს. 43 წ.); 2) სამგზავრო № 5 ნაშუადღევს 2 ს. 42 წ. (3 ს. 40 წ.).; 3 სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე) (პარასკეობით) პირდაპირ მოსკოვიდან მოსული)—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ:—ღამის 1 ს. 40 წ. (2 ს 38 წ.).

ბათუმისაკენ:—1) ღამის 3 ს. 10 წ.(4 ს. 8 წ.); 2) ნაშუადღევის 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.); 3) საღ. 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.)

ყორაპანისაკენ:—ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.)

ე) ფოთიდან გამოდის:

რიონ-ქუთაისამდე:—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.)

სამტრედია-ბათუმამდე:—ნაშუადღევის 3 ს 27 წ. (4 ს. 25 წ.).

სამტრედია-ბაქომდე:—საღამოს 10 ს. 49 წ. (11 ს. 47 წ.). და საღამოს 11 ს. 30 წ. (12 28 წ.).

განცხადებანი

ტეხნიკოსი
გიგო თოიძე
იღებს **შენობების** გეგმათა შედგენას და სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვის გამოანგარიშებას ყველასათვის ხელ-მისაწდომ პირობით. ტფილისი, ჩუღურეთი, გონჩარნი ქუჩა 28. (10—ნ.—3)

ყვირილის თეატრის
ამხანაგობა
ამით აცხადებს, რომ 1 მაისს მოჰხდება **საჯარო ვაჭრობა**, რომლის დროსაც გაიცემა ყვირილის თეტრის შენობის გაკეთება მარტო ხის ნაწილი, ქვითკირის გარდა, 2.000 მან. ღირებულობისა, მასალა ამხანაგობისა იქმნება. ვისაც ჰსურს მონაწილეობა მიიღოს ვაჭრობაში, დაწვრილებით პირობებისა და გეგმის ნახვა შეუძლიან ქიათურაში, ივანე არდიშვილთან და ყვირილაში, მიხეილ გაჩეჩილაძის წიგნის მაღაზიაში.
ამხანაგობის თავმჯდომარე კნ. ბარბარე წერეთლისა. (10—2)

ხეხილის ნერგები
საზღვარ-გარეთისა და ადგილობრივ საუკეთესო ხარისხისა იყიდება ზომიერ ფასად **ფარს. იაკ. ავსარქისოვის მამულში.**
ადრესი: უბრალო წერილებისთვის—**სკრა** ამიერ კავკასიის რკინის გზის სადგური; ხოლო ფულისა და შეკვეთილ წერილებისა—**გორში**, ფარს იაკ. ავსარქისოვს. კატალოგები მსურველთ უფასოდ ეგზავნებათ. (10—3)

ჩამოტანილია ტფილისში ამხანაგობა «შრომის» სანერგეებიდან
ხეხილები
1—3 წლისა უცხოეთის და ადგილობრივ ჯიშისა.
მიჰმართეთ **აფრინიანცს** მელიქ-ბახტამიანცის მაღაზიაში, სადაც ამ ხეხილების საწყობია. (10—1)

კავკასიის საიმპერატორო
სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებასთან
იყიდება
სეპარატორები
და ბაღდადის თეთრი და იტალიური ყვითელი **აბრეშუმის თესლი.** (ნ. 3—3)

კავკასიის სასოფლო-სამეურნეო
საიმპერატორო
საზოგადოებასთან
იყიდება ხეხილები
წვეი იზმაილ ოღლის ბაღიდან:
ვაშლი, მსხალი, ატამი, ბალი და სხვა ორისა და სამის წლის ხეხილი. (ნ. 3—2)

ცინკოგრაფია
ტიპოგ. გამოც. ქართველთა ამხანაგობისა
ბანკის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 37ა.
კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიული სურათებიდან და ხელით ნახატებიდამ.

სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე
ფარმაცევტთა ამხანაგობა
ტფილისში
(კავკასიის მუზეუმის პირდაპირ „სევერნი ნომრების" ქვეშ).
ტელეფონი № 741.
აწარმოებს ვაჭრობას ნარდად და წვრილმანად დილის 8 ს. საღამოს 9 საათამდე. საწყობში ყოველთვის მოიპოვება საუკეთესო თვისების სააფთიაქო და ქიმიური საქონელი: მზა წამლები (პატენტ-მიღებული), სადოსტაქრო იარაღი და შესახვევად სახმარებელი ნივთიერება, სადეზინფექციო (ჰაერის გასაწმენდი და ჭირის მოსასპობი) წამლები, აფთიაქის და ლაბორატორიისთვის მოწყობილობა, ეთერიანი ზეთები, ბუნებრივი ლითონიანი სხვა-და-სხვა წყალი და მარილი, მრავალ გვარი და მრავალ ფერიანი საპირფარეშო სამკაული, თმის და თვალ-წარბის სღებავი, საზღვარ-გარეთის და რუსეთის საუკეთესო ფირმების კეთილ სურნელოვანი საქონელი—პარფიუმერია-კოსმეტიკა (დუხი, ოდეკოლონი, ხელის საპნები და სხვ.), ოჯახში სახმარებელი ნივთები—სარეცხისთვის, სამზარეულოსთვის და სხვ.-და-სხვა.
ადრესი ფოსტისა და ტელეგრამისა: Тифлисъ. Товарищество фармацевтовъ. (100—11)

Дозв. ценз. Тифлисъ, 4 Марта, 1903 г.
რედაქციონის სტამბა წიგ. გამომ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва)